

LTD "Audit Service"

IN: 416302799

Address: Rustavi, Megobrobis II, 3/13

E-mail: auditrustavi@gmail.com

Tel. (995) 577977766



შ.პ.ს. "აუდიტ სერვისი"

სნ: 416302799

მის: ქ.რუსთავი, მეგობრობის შეს. 3/13

E-mail: auditrustavi@gmail.com

Tel. (995) 577977766

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სტარვიზია“ (ს/კ 245584611)

ფინანსური ანგარიშგების შემოწმების შესახებ

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შემსყიდველი: შპს „სტარვიზია“ (245584611)

მიმწოდებელი: შპს „აუდიტ სერვისი“ (ს/კ 416302799)

საფუძველი: 2018 წლის 18 აპრილის ხელშეკრულება №4

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
შესავალი (ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა)	2
მოსაზრება.....	2
აუდიტორული მოსაზრების საფუძველი	2
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)	4
(ფულადი ნაკადების მოძრაობის აუდიტი).....	6
(კაპიტალში ცვლილების ანგარიშგების აუდიტი)	7
(მოგება ზარალის შესახებ ანგარიშგება).....	7

შპს „სტარვიზია“-ს მენეჯმენტს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სტარვიზია“

2017 წლის 31 დეკემბერსათვის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის ფინანსური ანგარიშგების შემოწმების შედეგებზე

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სტარვიზია“-ს (ს/კ 245584611) 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას (ბალანსს); წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას მოგება/ზარალის ანგარიშგებას; ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას; მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

აუდიტი დაიგეგმა და განხორციელდა შპს „სტარვიზია“-ს და შპს „აუდიტ სერვისი“-ს შორის, 2018 წლის 18 აპრილს გაფორმებული №4 ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ბალანსის შემოწმების მიზნით აუდიტორულ მომსახურებას, აუდიტის ჩატარებისას ვხელმძღვანელობდით ასევე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული პროცედურებით. აღნიშნულ სახელმძღვანელო აქტებით დაკისრებული ვალდებულებები აღწერილია „აუდიტორი პასუხისმგებლობის“ განმსაზღვრელ ნაწილში.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ ვართ დამოუკიდებელი ორგანიზაციისგან, არ გავაჩნია არანაირი დაინტერესება აუდიტის შედეგის მიმართ. ვმოქმედებდით შესაბამისი ეთიკური ნორმების დაცვით: მიგვაჩნია, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი აუდიტორის მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრება

ჩვენი აზრით შპს „სტარვიზია“-ს (ს/კ 245584611) მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველ არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სამართლიანად ასახავს ფინანსური საქმიანობის შედეგებს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აუდიტორული მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს შპს „სტარვიზია“-ს ბალანსს (აქტივები პასივი; კაპიტალი), 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

შპს „სტარვიზია“-ს (ს/კ 245584611) ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია დაიცვას ეთიკის ნორმები, წარმართოს აუდიტორული პროცედურები იმგვარად, რომ მოიპოვოს დასაბუთებული რწმუნება, შეიცავს თუ არა ბუღალტრული ანგარიშგება არსებით უზუსტობას და აუდიტის შედეგების საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ბუღალტრული ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისათვის.

შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ბუღალტრული ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

შპს „აუდიტ სერვისი“-ს (SARAS-F-715412) გარიგების პარტნიორი:

სერთიფიცირებული აუდიტორი

(სერთიფიკატი: ზოგად აუდიტში №6/051 SARAS-A-185691)

25 აპრილი 2018 წელი



